საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

finedu

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში

ტრენინგი მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის

I დღე

საქართველოს ეროვნული ბანკი

2024

ტრენინგის დღის წესრიგი

30 სექტემბერი, 16:00-19:00 სთ

საკითხები - I დღე

- ფინანსური განათლების მნიშვნელობა
- ტრენინგის მიზნები
- ფული და ბარტერი
- საჯარო და კერძო საკუთრება

შესვენება

- **შესვენება** - 17:10 – 17:25

გაგვეცანით:


მე ვარ...
მე ვასწავლი ... სკოლაში
ტრენინგზე დავრეგისტრირდი, რადგან...

პრე-კითხვარის შევსება

ფინანსური განათლება და პროექტის მიზნები

რა არის ფინანსური განათლება?

ცოდნა

ქცევა

დამოკიდებულება

ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება → ფინანსური კეთილდღეობის მიღწევა

რატომ გვჭირდება ფინანსური განათლება?

ფინანსურად განათლებულ ადამიანებს:

- უკეთ ესმით ფინანსური პროდუქტების არსი;
- შეუძლიათ გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი დანაზოგებისა და ინვესტიციების განხორციელებაზე;
- იღებენ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს სესხებთან თუ სხვა ფინანსურ საკითხებთან მიმართებაში;
- შეუძლიათ დაიცვან საკუთარი, როგორც საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებები;
- იციან, როგორ ამოიცნონ და აირიდონ თავიდან ფინანსური თაღლითობა;
- შეუძლიათ თავიდან აირიდონ ზედმეტი ხარჯები, რაც არაინფორმირებულობით შეიძლება იყოს გამოწვეული;
- იციან, ვის მიმართონ ინფორმაციისა თუ საკუთარი უფლებების დაცვის შემთხვევაში;
- გეგმავენ მომავლისთვის და ზრუნავენ ფინანსური კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებაზე

ფინანსური განათლების დონე საქართველოში

ფინანსური ცოდნა (მაქს. 7)	ფინანსური ქცევა (მაქს. 9)	დამოკიდებულებები (მაქს. 5)	ფინანსური განათლება (მაქს. 21)
4.5	5.1	2.5	12.1

წყარო: OECD/INFE 2020 International Survey of Adult Financial Literacy

ფინანსური განათლების დონე საქართველოში

ცოდნა

უკეთ ესმით ფულის ღირებულება დროში, სესხზე გადასახადის, რისკისა და უკუგების, ინფლაციის არსი

უმრავლესობისთვის რთულია მარტივი პროცენტის გამოთვლა და რთული პროცენტის არსის ახსნა. საშუალოდ ერკვევიან რისკის დივერსიფიკაციაში

ქცევა

დიდი ნაწილი აკონტროლებს ხარჯებს, დროულად იხდის გადასახადებს.

შედარებით მცირე ნაწილი ისახავს გრძელვადიან ფინანსურ გეგმებს და მხოლოდ 12% აქვს საპენსიო ასაკისთვის მზაობის განცდა

დამოკიდებულებები

უმრავლესობა ფიქრობს, რომ ფული იმისთვისაა, რომ დაიხარჯოს. ნახევარზე მეტს ფულის დახარჯვა უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე დაზოგვა.

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია

სტრატეგია 2016

- **პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფი** - ახალგაზრდა თაობა - სტუდენტები და მოსწავლეები
- **ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების არხი** - სკოლები

სტრატეგია 2023

- **პრიორიტეტული მიმართულება** - ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება
- **მისაღწევი ამოცანა** - სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვის ხელშეწყობა

რატომ ახალგაზრდები?

- პირადი ფინანსების მართვის ჩვევის გამომუშავება უფრო ადვილია ახალგაზრდა ასაკში;
- ზრდასრულ ასაკში გაცილებით რთულია ადამიანის დამოკიდებულებების, ქცევისა და კულტურის თავისებურებების შეცვლა;
- ფინანსური განათლება ადრეული ასაკიდან, სკოლაშივე უნდა იწყებოდეს (OECD, 2005, 2015)
- ფინანსური განათლება სკოლებში დანაზოგების გაზრდილ მაჩვენებელს უკავშირდება (Batty et al. 2015)

ფინანსური განათლება სკოლებში - საერთაშორისო გამოცდილება

ავსტრალია

2008 წ. - ესგ-ს ნაწილი (ინგლისური, მათემატიკა, მეცნიერებები, ეკონომიკა და ბიზნესი) – I-X კლ.

ახალი ზელანდია

2007 წ. - ესგ-ს ნაწილი (სხვადასხვა საგანში) – I-XIII კლ.

სამხრეთ აფრიკა

2010 წ. - ესგ-ს ნაწილი I-XII კლ. (კლასების მიხედვით სხვადასხვა საგანში (მათემატიკა, ეკონომიკა, ბიზნესი))

გაერთიანებული სამეფო

2008 წ. - ესგ-ს ნაწილი (ინგლისი: მოქალაქეობა

იაპონია

2009 წ. - ფინ. განათლების საგნებში: სოციალური მეცნიერებები და ეკონომიკა

აშშ

პირადი ფინანსები - სავალდებულო 22 შტატში ეკონომიკა - სავალდებულო 44 შტატში + DC

ფინანსური განათლება ეროვნულ სასწავლო გეგმაში

ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების ინტეგრაცია

- საგანი „მოქალაქეობა“ – VII და IX კლასი (2018)
- შეხვედრა VII და IX კლასის ავტორებთან (2018, 2020)
- სებ, განათლების სამინისტრო

სასწავლო მასალის შემუშავება

- დამხმარე მასალა VII კლასის მასწავლებლებისთვის (2020)
- დამხმარე მასალა IX კლასის მასწავლებლებისთვის (2023)
- სებ, SBFIC, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი



მასწავლებელთა გადამზადება

- ToT და VII კლასის მასწავლებლების გადამზადება (2020-2021)
- სებ, SBFIC, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი
- მიმდინარე ეტაპი: IX კლასის მასწავლებლების გადამზადება

ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების ჩამონათვალი

VII კლასი

თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში

- ფული და ბარტერი;
- ბაზარი (მოთხოვნა და მიწოდება) და ფასი;
- კერძო და საჯარო საკუთრება;
- შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება (პირადი ფინანსების მართვა);
- დაზოგვა და ქველმოქმედება.

IX კლასი

თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

- პროფესია და სამსახური;
- სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები;
- საფინანსო ორგანიზაციები და მომსახურებები;
- მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები;
- დაზღვევა.

ფინანსური განათლების რესურსები მასწავლებლებისთვის

ფინანსური განათლების პორტალი ფინედუ: www.finedu.gov.ge

- ყველანაირი ინფორმაცია ფინანსური განათლების შესახებ: მასალები, ბროშურები, სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ქვიზები და ა.შ.
- ინფორმაცია ტრენინგების, კონკურსების, ღონისძიებებისა და სხვა პროექტების შესახებ
- გამოგვყევით სოციალურ ქსელებში:

დამხმარე სასწავლო მასალები

- დამხმარე სასწავლო მასალა VII კლასის მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის და აქტივობების კრებული;
- დამხმარე სასწავლო მასალა IX კლასის მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის
- ფინანსური განათლების ვიდეოგაკვეთილები
- სასწავლო რესურსები მასწავლებლებისგან - 1
- სასწავლო რესურსები მასწავლებლებისგან - 2

ფინანსური განათლების რესურსები მასწავლებლებისთვის

ტრენინგები

- 1. ტრენინგები მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის
- 2. ტრენინგები ნებისმიერი საგნის მასწავლებლებისთვის არაფორმალურ 15 გაკვეთილიან მოდულზე „სკოლა-ბანკი“ (VII-IX კლასი)
- რეგისტრაცია ცხადდება - ფინედუს ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე

„მოიწვიე ფინედუს დესპანი კლასში“

- ფინედუს წარმომადგენლების ვიზიტი სკოლაში და ღია გაკვეთილი დაზოგვისა და ფულის შესახებ (III-XII კლასები);
- გლობალური ფულის კვირეულისა (მარტი) და მსოფლიო დაზოგვის დღის ფარგლებში (ოქტომბერი)
- რეგისტრაცია ცხადდება - ფინედუს ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე

ტრენინგის შესახებ

ტრენინგის მიზანი:

- ხელი შეუწყოს მოქალაქეობის მასწავლებლებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებული ფინანსური და ეკონომიკური საკითხების ეფექტიანად სწავლებაში

ძირითადი მასალა:

- დამხმარე სახელმძღვანელო VII კლასის მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის
- დამხმარე სახელმძღვანელო IX კლასის მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის

დამხმარე სახელმძღვანელოს სტრუქტურა

- ესგ-თი განსაზღვრული ფინანსური და ეკონომიკური საკითხები - სასწავლო მიზნები, კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები, მნიშვნელოვანი ცნებები, საკვანძო შეკითხვები და მკვიდრი წარმოდგენები, თეორიული ნაწილი, პრაქტიკული დავალებები და ჯგუფური აქტივობები

- **პარტნიორები:** განათლების სამინისტრო, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, გერმანული შემნახველი ფონდი შპარკასე (German Sparkassenstiftung)

შეფასების ინდიკატორები (ესგ - VII კლასი)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებისა და კონკრეტული მიზნების შესაბამისად პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა;
- გააანალიზოს, თუ რა განაპირობებს ადამიანების ეკონომიკურ აქტივობას; რა ლოგიკით იღებენ ისინი ამა თუ იმ ფინანსურ გადაწყვეტილებას;
- გააანალიზოს, თუ როგორ ყალიბდება ბაზარი.

შეფასების ინდიკატორები (ესგ - IX კლასი)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება;
- გააანალიზოს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით იკვეთება პრიორიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას;
- ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება;
- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება;
- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება

შესვენება
17:10 – 17:25

საკითხი 1:

ფული და ბარტერი

ფული და ბარტერი

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რატომ არის საჭირო ფული?

თემატური მკვიდრი წარმოდგენები

ქვესაკითხები:

- რა არის ფული? ფულის ფუნქციები და ფორმები
- ბარტერი
- ვალუტა

ფული და ბარტერი

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები იაზრებენ ფულს, როგორც ვაჭრობის ხელშემწყობ საშუალებას;
- მოსწავლეებს შეუძლიათ ფულის ფუნქციებისა და თვისებების დასახელება;
- მოსწავლეები სწავლობენ, რომ სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა ვალუტა აქვს

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეს შეუძლია აღწეროს გაცვლისა და გადახდის საშუალებების განვითარების ეტაპები;
- მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს ფულის, როგორც გაცვლის, გადახდის საშუალებისა და აღრიცხვის ერთეულის ფუნქცია ;
- მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს ბარტერის დადებითი და უარყოფითი მხარეები

მნიშვნელოვანი ცნებები: ფული, ბარტერი, ვალუტა, გაცვლითი კურსი

ფული და ბარტერი

რა არის ფული?

ფული - გაცვლისა და დაგროვების საშუალება, სხვადასხვა ნივთების ღირებულების საზომი.

ფული და ბარტერი

ფულის ფუნქციები

გაცვლისა და გადახდის საშუალება

- ის, რასაც მყიდველები აძლევენ გამყიდველებს, როდესაც რაიმეს შეძენა სურთ.
- ფული ყველასათვის მიღებული გაცვლის საშუალებაა.

ღირებულების საზომი და აღრიცხვის ერთეული

- ღირებულების სტანდარტული, აღიარებული საზომია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვსახოთ ფასი და განვსაზღვროთ საქონლის ღირებულება.

დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება

- საშუალებას გვაძლევს შევაგროვოთ თანხა სამომავლოდ და დღევანდელი შემოსავლით, ვიყიდოთ მომავლში.

ფული და ბარტერი

ფულის მახასიათებლები

- გამძლე
- დაშლადი / გაყოფადი
- შეზღუდული
- ადვილად გადატანადი
- გაყალბებისგან დაცული
- ერთგვაროვანი
- საყოველთაოდ აღიარებული

ფული და ბარტერი

ვინ უშვებს ფულს?

საქართველოში მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ლარის მონეტებისა და ბანკნოტების ემისიის (გამოშვების უფლება)

ფული და ბარტერი

ფულის დამცავი ნიშნები

გახედე ბანკნოტს გამჭოლ შუქზე და გამოჩნდება:

წყლისნიშანი

ვერტიკალური ძაფი

თანმხვედრი გამოსახულება

ბანკნოტის დახრისას გამოჩნდება:

ჰოლოგრამა

ირისისებური ზოლი

ბანკნოტზე შეხებით შეიგრძნობა:

რელიეფური ნაბეჭდი



ნიშანი სუსტი მხედველ.

ფული და ბარტერი

ფულის ფორმები

- საქონელი, როგორც ფული
- ლითონის ფული
- ქაღალდის ფული
- ელექტრონული ფული

ფული და ბარტერი

ბარტერი

ბარტერი - საქონლის ან მომსახურების პირდაპირ გაცვლა ერთმანეთში, ფულის გამოყენების გარეშე

ბარტერის უპირატესობები

- არ ხარჯავთ ფულს ნივთის შესაძენად
- საქონლის მეორადად გამოყენება
- ნარჩენების ზრდის თავიდან არიდება

ფული და ბარტერი

ვალუტა

ვალუტა - ფულადი ერთეული, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში, ან კონკრეტულ ტერიტორიაზე გამოიყენება

- ქვეყნების უმრავლესობას საკუთარი ვალუტა აქვს
- მსოფლიოში 180-მდე ვალუტა არსებობს
- ევრო მოქმედია ევროკავშირის 20 ქვეყანაში

ფული და ბარტერი

თამაში გაცვლაზე

- თითოეულ მოთამაშეს შემთხვევითობის პრინციპით დაგირიგდებათ 6 ბარათი;
- სულ იქნება 12 ტიპის 120 ბარათი
- თითოეულმა მონაწილემ უნდა შეაგროვოს წინასწარ განსაზღვრული 1 რომელიმე ტიპის ბარათი, მაგალითად სამკუთხედის გამოსახულებით, რაც შეიძლება მეტი.
- მონაწილეებმა ერთმანეთს უნდა გაუცვალონ ბარათები და ამ გზით უნდა მოიპოვონ მათთვის სასურველი ბარათები.



10 წუთი

ფული და ბარტერი

თამაში გაცვლაზე

- თითოეულ მოთამაშეს შემთხვევითობის პრინციპით დაგირიგდებათ 5 ბარათი;
- სულ იქნება 10 ტიპის 100 ბარათი (20 მონაწილე)
- თითოეულმა მონაწილემ უნდა შეაგროვოს წინასწარ განსაზღვრული 1 რომელიმე ტიპის ბარათი, მაგალითად სამკუთხედის გამოსახულებით, რაც შეიძლება მეტი.
- მონაწილეებმა ერთმანეთს უნდა გაუცვალონ ბარათები და ამ გზით უნდა მოიპოვონ მათთვის სასურველი ბარათები.



10 წუთი

ფული და ბარტერი

თამაში გაცვლაზე

- გახსენით ბრაუზერი და აკრიფეთ: breakeven.app/sff86ff
- თქვენი დავალებაა: ივაჭროთ ტრენინგის სხვა მონაწილეებთან (ერთმანეთში გაცვალოთ თქვენს ხელთ არსებული რესურსები) და შეაგროვოთ ერთი რომელიმე მოცემული ემოჯის კომბინაციებიდან, რათა მოიპოვოთ მაქსიმალური ქულა.







10 წუთი

ფული და ბარტერი

თამაში ბარტერზე

- გახსენით ბრაუზერი და აკრიფეთ: breakeven.app/2fyuf42
- თქვენი დავალებაა: გაუცვალოთ დანარჩენ მონაწილეებს თქვენთ ხელთ არსებული ემოჯები, რათა შეაგროვოთ 4 ცალი ერთნაირი რომელიმე ემოჯი. პირველ რაუნდში შეგიძლიათ მხოლოდ ემოჯების გაცვლა ერთმანეთში, მეორე რაუნდში კი გაცვლის საშუალებად ფული შემოვა.



10 წუთი

ფული და ბარტერი

ჯგუფური აქტივობა

- **ჯგუფი #1:** სამუშაო ფურცელი 1.1 რატომ არის საჭირო ფული?
- **ჯგუფი #2:** სამუშაო ფურცელი 1.2 ბარტერი
- **ჯგუფი #3:** სამუშაო ფურცელი 1.3 როგორ მოვაწყოთ გაცვლის ბირჟა?
- **ჯგუფი #4:** სამუშაო ფურცელი 1.4 უცხოური ვალუტა

10 წუთი

ფული და ბარტერი

ჯგუფური დისკუსია

შეკითხვები

რეკომენდაციები

საკითხი 2: საჯარო და კერძო საკუთრება

საჯარო და კერძო საკუთრება

ქვესაკითხები:

- საქონლის კლასიფიკაცია
- კერძო და საჯარო საკუთრება
- კერძო და საჯარო საქონლის მიმწოდებლები

მნიშვნელოვანი ცნებები: კერძო საკუთრება, საჯარო საკუთრება, კერძო საქონელი, საჯარო საქონელი, საზოგადოებრივი საქონელი, კლუბური საქონელი, მომხმარებელთა მეტოქეობა

საჯარო და კერძო საკუთრება

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ აღწერონ ცნებები „კერძო საკუთრება“ და „საჯარო საკუთრება“;
- მათ შეუძლიათ, ერთმანეთისაგან განასხვავონ საქონლის ოთხი ჯგუფი და თითოეული ჯგუფისათვის მოიყვანონ ერთი მაგალითი.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებს ესმით, რომ კერძო საკუთრება შეიძლება ასევე ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს;
- მათ გაცნობიერებული აქვთ საზოგადოებრივი საქონლის გადამეტებულად გამოყენების პრობლემა.

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

საჯარო საქონელი და მომსახურება

- მისით სარგებლობაში ადამიანებს ხელს ვერ შევუშლით, რადგან ისინი საერთო სარგებლობისაა და ყველას შეუძლია მისი გამოყენება (სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საქონელი არ არის გამორიცხვადი, ანუ შეუძლებელია მომხმარებლის გამორიცხვა

- მისი გამოყენება ერთი ადამიანის მიერ არ ზღუდავს მეორე ადამიანის მიერ მის გამოყენებას (სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საქონელი არ არის მეტოქეობისუნარიანი, ანუ არ არსებობს კონკურენცია (მეტოქეობა) მომხმარებლებს შორის ამ საქონლისთვის).

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

საჯარო საქონელი და მომსახურება → საახალწლო განათებები

- ყველას შეუძლია მისი ნახვა უფასოდ
- ერთი ადამიანის მიერ მისი ნახვა არ ამცირებს სხვების მიერ მისი ნახვის შესაძლებლობას



საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

კერძო საქონელი და მომსახურება

- მისით სარგებლობა შეგვიძლია ავუკრძალოთ ადამიანებს, თუკი ფულს არ გადაიხდიან (სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საქონელი გამორიცხვადია, ანუ ფასის დაწესებით შეგვიძლია მომხმარებლის გამორიცხვა);

- მისი გამოყენება ერთი ადამიანის მიერ ზღუდავს მეორე ადამიანის მიერ მის გამოყენებას (სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საქონელი მეტოქეობისუნარიანია, ანუ მომხმარებლებს შორის არსებობს კონკურენცია ამ საქონლისთვის).

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

კერძო საქონელი და მომსახურება

შოკოლადის ფილა

- ვერ მიიღებს ადამიანი, თუ ფული არ გადაიხადა
- თუ ერთმა ეს კონკრეტული ფილა იყიდა, სხვა მის ყიდვას ვეღარ შეძლებს

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

კერძოსა და საჯაროს შერწყმა

ტყის სოკო

საზოგადოებრივი საქონელი (საერთო რესურსები)

- ყველას შეუძლია მისი მოკრეფა უფასოდ

საჯაროს მახასიათებელი

- რაოდენობა შეზღუდულია, მკრეფავები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას

კერძოს მახასიათებელი

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

საზოგადოებრივი საქონელი (საერთო რესურსები)

- მისით სარგებლობაში ადამიანებს ხელს ვერ შევუშლით, რადგან მისით სარგებლობა უფასოა და ყველას შეუძლია მისი გამოყენება (სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საქონელი არ არის გამორიცხვადი, ანუ შეუძლებელია მომხმარებლის გამორიცხვა);

- თუმცა, მისი გამოყენება ერთი ადამიანის მიერ ზღუდავს მეორე ადამიანის მიერ მის გამოყენებას (სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საქონელი მეტოქეობისუნარიანია, ანუ მომხმარებლებს შორის არსებობს კონკურენცია ამ საქონლისთვის).

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

კერძოსა და საჯაროს შერწყმა

კლუბური საქონელი

ფილმის ყურება კინოთეატრში

- ვერ შევა დარბაზში, თუ ფული არ გადაიხადა

კერძოს მახასიათებელი

- ერთი ადამიანის მიერ მისი ნახვა არ ამცირებს სხვების მიერ მისი ნახვის შესაძლებლობას

საჯაროს მახასიათებელი

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

კლუბური საქონელი

- მისით სარგებლობა შეგვიძლია ავუკრძალოთ ადამიანებს, თუკი ფულს არ გადაიხდიან (სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საქონელი გამორიცხვადია, ანუ ფასის დაწესებით შეგვიძლია მომხმარებლის გამორიცხვა);

- თუმცა, მომხმარებლებს შორის არ არსებობს სამომხმარებლო მეტოქეობა.

საჯარო და კერძო საკუთრება

საქონლის კლასიფიკაცია

	შესაძლებელია მომხ. გამორიცხვა	შეუძლებელია მომხ. გამორიცხვა
არსებობს კონკურენცია მომხ. შორის	კერძო საქონელი	საერთო რესურსები
არ არსებობს კონკურენცია მომხ. შორის	კლუბური საქონელი	საჯარო საქონელი

საჯარო და კერძო საკუთრება

კერძო და საჯარო საკუთრება

კერძო საკუთრება - არის უფლება, რაც პირს მოცემულობაზე ექსკლუზიურ და სრულ კონტროლს აძლევს.

სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია ჩამოაყალიბოს კერძო საკუთრებით/ქონებით სარგებლობის წესები.

საჯარო და კერძო საკუთრება

ჯგუფური აქტივობა

საქონლის კლასიფიკაცია

- კერძო
- საზოგადო (საერთო რესურსები)
- კლუბური
- საჯარო

10 წუთი

საჯარო და კერძო საკუთრება

ჯგუფური აქტივობა - საქონლის კლასიფიკაცია

თევზი ტბაში	ტყის კენკრა	სურსათი	ტრანსპორტი
სამუშაო იარაღი	მანქანა	შუქნიშანი	პოლიცია
ფეხსაცმელი	ჯარი	კომპიუტერი	ტყე
შუქურები	საძოვარი	ფასიანი TV არხი	სკვერი
ფილმი კინოში	სახანძრო სამს.	ქუჩის განათება	ქუჩები
კერძო მიწა	კერძო სახლი	გასართობი ცენტრი	კონცერტი

საჯარო და კერძო საკუთრება

ჯგუფური აქტივობა - საქონლის კლასიფიკაცია

კერძო	საერთო რესურსები	კლუბური	საჯარო

საჯარო და კერძო საკუთრება

ჯგუფური აქტივობა - საქონლის კლასიფიკაცია

კერძო	საერთო რესურსები	კლუბური	საჯარო
• სურსათი	• თევზი ტბაში	• ფასიანი TV არხი	• ქუჩები
• ტანსაცმელი	• ტყე	• ფილმი კინოში	• ქუჩის განათება
• ფეხსაცმელი	• ტყის კენკრა	• გასართობი ცენტრი	• შუქურები
• მანქანა	• საძოვარი	• კონცერტი	• შუქნიშანი
• კომპიუტერი			• სახანძრო სამსახური
• სამუშაო იარაღი			• პოლიცია
• კერძო მიწა			• ჯარი
• კერძო სახლი			• სკვერი
			• ტრანსპორტი

საჯარო და კერძო საკუთრება

ჯგუფური დისკუსია

შეკითხვები

რეკომენდაციები

დღის შეჯამება

რა იყო თქვენთვის სიახლე?

რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

რომელი საკითხი იქნება ყველაზე საინტერესო ბავშვებისთვის?

ფინედუს Facebook ჯგუფი მასწავლებლებისთვის

„ფინედუს სამასწავლებლო“

გმადლობთ ყურადღებისთვის!